

# საერთო მანქათი

№41 (546) • 27 ნოემბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღასი 1 ლარი



## მთელ კაცობრიობას კრიზისების ხანა უღვას და რა გასაკვირია თუ მნეჩლობას კრიზისულ მდგომარეობაშია?

„ყოველგვარი კულტურის საბოლოო მიზანი ის არის, რომ, რასაც ჩვენ პოლიტიკას ვეძახით, კაცობრიობისთვის ზედმეტი გახადოს, ხოლო მეცნიერება და ხელოვნება – აუცილებელი“.

ლემან ბრამბაია:

## „ჩისხვარ მობჩუნდა ბოჩბანი, ჩვენზედა, ცისა შვილისა“

დღეს მწერლობის გამგებელი არის მეფაზე, სახელად მამუკა ხაზარაძე. ის მიზანდასახულად აქებს ამ ზნედაცემულ ვითომ მწერლებს, რადგან კარგად იცის, ვისი გუნდიდანაც არის. ამ გუნდის მეთაური გახლავთ მიხეილ სააკაშვილი.



გურამ ახრიაშვილი:



## აკის მოჩადს მნეჩლობა აყალიბებს

ომში ვართ დღეს ჩვენ, სახიფათო და ბედისწერულ ომში. მაგრამ ჩვენ უნდა დავძლიოთ ეს ბედისწერა მრისხანე, აჯანყებული სიტყვის მეოხებით. მხოლოდ სიტყვა რჩება იარაღად იერიის მახვილად და ფარად...

კობა არაქული:

## ოტრეატი წელი, ვითარცა აეთი დღე

„სხვა დრო“ ჰქვია „საერთო გაზეთის“ ამ ლიტერატურულ ჩანართს. სხვა დროა საქართველოში და იმიტომ, მაგრამ თუ კარგად დაფუკვირდებით ამ დროს, ეგეც თითქმის იგივე და ისეთივე დროა, რაც იყო 30 წლის წინათ, 20 წლის წინათ, 15 წლის წინათ, ათი წლის წინათ...



ვახტანგ სარიკიძე:



## ღიან, საქართველოც მე ვარ, მზაც, მეზაც, მომეჩივს და მსახუჩის, თუმცა მხოლოდ მე კი აჩა ასეთია ყველა ჩვენგანი

გიორგი ბილიშვილი:

## შურან მაჭავარიანი: სამშობლოს ჩემსას იშვიათად უგრძვნია შვება, – საყიალოა თავისობას ის რადგან სხვების. მას დღემდე ბევრი სისაძაგლე შესძინეს სხვებმა; – იგია, მოკლედ, საკუთარი სიკარგის მსხვერპლი. ... სულს მივცემ ჩემსას მე იმას მარტო, – ვინც საქართველოს ესწრაფვის ქართულს! არა ცრუქართულს! – ნამდვილად ქართულს! სიტყვითურთ ქართულს! – საქმითურთ ქართულს! სულს მივცემ ჩემსას მე იმას მარტო, – რომელსაც ვატყობ! – კოჭებში ვატყობ! – არის ყველაფრით აყოველმხრივ სანდო და საქართველოს იმნაირს ნატრობს, ნატრობს როგორსაც ქართველი მარტო! სულს მივცემ ჩემსას მე იმას მარტო, – ვინც უწყის: ტატომ ღალადყო რატომ: სახელმწიფოთა შორის ერთობას (ესეც ღვთის ნება არის, ეტყობა!) სარწმუნოება არ ყოფნის მარტო! სულს მივცემ ჩემსას, – ერთი სიტყვით, – მე იმას მარტო, ვინც იცის: გაჩნდა ქართველად რატომ!

## გაზეთი გაზეთი!

# სხვა დრო

საქართველოს მნეჩლობა აკოვნილი აკადემიის გაზეთი

№4. 27 ნოემბერი, 2019 წ.

# ოცდაათი წელი, პითაჩსა ერთი დღე

## პასტანო ხარჩილავა:

„სხვა დრო“ ჰქვია „საერთო გაზეთის“ ამ ლიტერატურულ ჩანართს. სხვა დროა საქართველოში და იმიტომ. თუ კარგად დაფუძვნილებით ამ დროს, ეგეც თითქმის იგივე და ისეთივე დროა, რაც იყო 30 წლის წინათ, 20 წლის წინათ, 15 წლის წინათ, ათი წლის წინათ...

დრო არ შეცვლილა, მხოლოდ პერსონაჟები შეიცვალნენ – ადრე თუ კიტოვანი იყო, ახლა ბოკერიია, ადრე თუ ჯაბა იყო – ახლა უგულავაა, ადრე თუ სიგუა იყო – ახლა გრიგოლ ვაშაძეა, ადრე თუ ლუიზა და ირინა იყო – ახლა სალომე, ელენე და თინიკოა. ადრე ზვიად გამსახურდიას ეძახდნენ დიქტატორს და უზურპატორს, ახლა ბიძინა ივანიშვილს ეძახიან იგივეს.

მაშინ გამსახურდია უშლიდათ ხელს ქვეყნის სრულ იავარქმნაში, ახლა ივანიშვილი უშლით ხელს და იმიტომაც ამოიჩემეს.

მაშინ გამსახურდია მოკლეს, ახლა ივანიშვილსაც დიდი სიამოვნებით მოკლავენ, ამის შანსი რომ მიეცეთ.

გამსახურდიას დამბობის შემდეგ სვავეებით დააცხრნენ ქვეყანას და პირნიშნად გაძარცვეს და გაყვლიფეს.

ივანიშვილი თუ გზიდან ჩამოიშორეს, ახლაც იგივეს გაიმეორებენ და ხალხს და ქვეყანას ცხრა პირ ტყავს გააძრობენ.

ყაჩაღები არიან ესენი, ჩვეულებრივი ბანდიტები და დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება ნიღბებით აქვთ აფარებული სახეებზე, როგორც ამას ყაჩაღები აკეთებენ სახლებში შევარდნისას, რომ დამხვდურებმა ვერ იცნონ, თუმცა იცნობენ თუ არ იცნობენ, ამათ არც ეს ედარდებათ დიდად – პასუხის მომთხოვნი მაინც არავინ არ არის.

დიახ, დახ, ეს სხვა დროც იგივეა რაც იყო 30 წლის წინათ, 25 წლის წინათ, 20 წლის წინათ...

ეს გოგო-ბიჭებიც, ხან პარლამენტის რკინის ლობეს რომ ეჯაჯგურებიან და ხან ნაგვის ურნებს რომ დაათრევენ აღმა-დაღმა, იგივეს აკეთებენ რასაც მათი თანატოლები აკეთებდნენ 30 წლის წინათ, 25 წლის წინათ, 20 წლის წინათ.

ისინიც ისე ყრიდნენ რუსთაველის პროსპექტზე ათასგვარ ხარახურას, როგორც ესენი, ისინიც ზუსტად ისე აგუგუნებდნენ კოცონებს შუა ქუჩაში, როგორც ესენი.

ისინიც ზუსტად იგივე სიტყვებს იძახდნენ და იგივე ლოზუნგებს სკანდირებდნენ, რასაც ესენი.

ისინი, ოცდაათი წლის წინანდელი გოგო-ბიჭები და ესენიც, ოცდამეერთე საუკუნის პირმშობები, ერთი და იგივენი არიან – ჩაცმა-დახურვასა და „პრიჩოსკებშია“ ცოტაოდენი განსხვავება, თორემ სხვა მხრივ ერთმანეთს ალი-კვალავით ჰგვანან.

დანამდვილებით ამათაც ზუსტად იგივე დაემართებათ, რაც იმით დაემართათ – გაქნილი თვალთმაქცები, აფერისტები და არამზადები იმისთვის გამოიყენებენ, რომ ძალაუფლება ჩაიგდონ ხელში, მერე კი ამ ძალაუფლებით, პირველ რიგში, სწორედ მათ გაუსწორდებიან, დააჩმორებენ, დააჩაჩანაკებენ, ჩარეცხავენ.

დემოკრატია, უფრო სწორად, დემოკრატიის ქართული ვარიანტი – თითლიბაზური, ყალბბანდური, ყალბი – უბედურებად ექცა საქართველოს.

– დემოკრატია გინდებლარიინ? „პაჟალუსტა“! – დაგვაჯილდოვა ბატონმა შოთამ დემოკრატიით და წავიდა.

– დემოკრატია ლობიობა ხომ არ გგონიათ თქვენ? – დაგვიცაცხანა კანონიერმა ქურდმა ჯაბამ და ავტომატის ჯერით „კრესტი“ დაგვადო გულ-მკერდზე.

– ნულოვანი ტოლერანტობა! ყველანი ციხეში! – დასჭედა დიდმა „რეფორმატორმა“ მიშამ და ლამის მთელ საქართველოს ბადრაგი დააყენა თავზე.

– აი, ეგ კაცია „დემოკრატიის შუქურა“ და გაუფრთხილდით მაგ შუქურასო – შემოგვითვალის ჩვენმა საზღვარგარეთელმა მეგობრებმა.

მართალია, სიბნელეს და სისასტიკეს „ასხივებდა“ ეს ჩვენი „შუქურა“, მაგრამ საზღვარგარეთელი მეგობრები მაინც ჯიუტად გვიმეორებდნენ, რომ დემოკრატიის შუქურამ სწორედ ასე უნდა ანათოსო და ჩვენც ვითმენდით, სხვა რა გზა გვქონდა.

ბოლოს და ბოლოს „შუქურა“ გავიტანეთ ქვეყნიდან, მაგრამ ახლა „დემოკრატიის შუქურის“ „ასკოლკები“ ცდილობენ წყვიდადი „გაგვიანათონ“.

ესეც იყო... ყველაფერი იყო იმ წარსულ დროში, რომელიც, როგორც ირკვევა, სულაც არ არის წარსული – მარადიული ანმყო, რომელსაც მომავალი არ აქვს.

დაბოქლომების ამბებიც იყო, ოღონდ მაშინ უფრო პრიმიტიულად იქცეოდნენ და დაბოქლომების ნაცვლად პირდაპირ კარებს აჭედავდნენ ხოლმე.

ისედაც დაბოქლომებულ და კარებაჭედილ საქართველოს კიდევ დაბოქლომება და კარების აჭედვა უნდოდა?

ადრე ნათქვამს გავიმეორებ: – ოცდაათი წლის ადამიანი უკვე ზრდასრული ადამიანია, რომელსაც ჭკუა-გონების მხრივ არაფერი მოემატება, თუ არ მოაკლდება.

ოცდაათი წლის დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო ისევე ყმანვილობის ხანაშია და მის დაჭკვიანება-დაღვინებას სამეული არ დაადგა.

თითქოსდა ზრდა შევწყვიტეთ და სამუდამოდ თინეიჯერულ ასაკში ჩავრჩით.

ოცდაათი წელი, ვითარცა ერთი დღე, რომელსაც არც დილა აქვს, არც ღამე, უბრალოდ, დღეა, მოსაწყენი, უხალისო, ერთფეროვანი.

ოცდაათი წელია ერთი გაბმული გუგუნე ისმის, ერთი გაბმული ნერვოზული ღრიალი, კვილი და კბილთა ღრჭენა, რომელიც სხვა დანარჩენ ხმებს ფარავს და ამბობს. თითქოს ფსიქიურად გაუნონასწორებელმა, ზედმეტად ექსცენტრიკულმა ადამიანებმა ჩაიგდეს ხელში ეს ქვეყანა და მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ვერა და ვერ გამოვგლიჯეთ ხელიდან.

ოცდაათი წელია თითქოს ერთ კინოდარბაზში ვზივარ და ერთი და იგივე ფილმს ვუყურებ.

დამთავრდება ფილმი და ისევე ხელახლა ატრიალებს ვილაც უჩინარი კინომექანიკოსი ამ შავ-თეთრ, სიძველისგან გაცრეცილ და გახუნებულ ფირს.

სევდა და უიმედობა მიპყრობს ჩვენი წინდაუხედაობის, ჩვენი უგუნურობის და ჩიტრეკიობის ამსახველ ამ დოკუმენტურ კადრებს რომ ვუყურებ და ერთი კითხვა მიღრღნის გულს: – რით შეიძლება ეს ფილმი დამთავრდეს, რა არის ამ ფილმის ფინალი?



დავან ჩიხაძე



„სხვა დროს“ სტუმარია ლევან ბრეხიაძე

# მთად კაცობრიობას კრიზისების ხანა უღბას და რა გასაკვირია თუ მნეკრობას კრიზისულ მდგომარეობაშია?

ხელოვანები ეძებენ ფორმებს, ეძებენ ენას, რომლითაც შეიძლება დღეს მკითხველსა თუ მკითხველს ელაპარაკო! ნაცადი, მაგრამ გაცვეთილი ფორმები უსარგებლო ხდება, ახალი უნდა მოიძებნოს. ამას კი დრო სჭირდება.

ჩემი დაკვირვებით, მწერლობას საამისოდ (ანუ იმისთვის, რომ ერის ლიდერობა ადრინდელივით გაეგრძელებინა) ძალა არ დაუშურებია, მაგრამ თუ აქედან არაფერი გამოვიდა, ამის მიზეზი ის მგონია, რომ პოლიტიკა მწერლობის ბუნებრივი ფუნქცია არ არის, მით უფრო, მას შემდეგ, რაც ესოდენ განვითარდა ჟურნალისტიკა – ჟურნალ-გაზეთები, რადიო-ტელევიზია და ახლა, ამას სოციალური ქსელებიც დაემატა.

პოეზიის მსახურნი ამ საქმეს (პოლიტიკურ ცხოვრებაში აქ-

ნლი იმიტომ მუშაობს უღიმღამოდ, რომ ისინი ამ პროფესიას როგორც თავიანთ დროებით საქმიანობას, ისე უყურებენ. ჟურნალისტიკა მათთვის პოლიტიკაში გადასახტომი ტრამპლინია. დარწმუნებული ვარ, გუნებაში ხშირ-ხშირად იმეორებენ: იმ ჟურნალისტს რა ვუთხარი, რომელიც მინიმუმ პარლამენტარობაზე არ ოცნებობს!

როგორი წარმოსადგენია პარლამენტარობაზე ან მინისტრობაზე მეოცნებე ნიკო ნიკოლაძე, ეგონ ერვინ კიში, მიხაილ კოლცოვი, არტ ბუხვალდი, გიუნთერ ვალრაფი და პოლიტიკური მწერლობის სხვა მათი რანგის გამოჩენილი წარმომადგენელი!

– ბატონო ლევან, თანამედროვე მწერლობაში უცნაური ტენდენცია გაჩნდა: ქართველი მკითხველისთვის სრულიად

მასთან ერთად, მკითხველთა წინაშე, გამოჩენას უნიჭიერესი პოეტებიც კი უფრთხოდნენ!

გავიხსენოთ დიდ, ნამდვილ შემოქმედთა ბიოგრაფიები: უმეტესობას ძალიან უჭირდა თავის გატანა მათთან შედარებით, ვინც უნიჭო ტექსტებით ემსახურებოდა გაბატონებულ იდეოლოგიას ან მასობრივ გემოვნებას მორგებულ, იოლად „მოსანელებელ“ ხელოვნების პროდუქტს აწარმოებდა. ვილას ახსოვს დღეს ისინი!

– დღევანდელი მწერლობას კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა აქვს. კერძოდ, ფაქტობრივად, არ არსებობს პროფესიონალი შემფასებელი, კრიტიკოსი, ლიტერატურისმცოდნე, რომელიც დაადგენს ლიტერატურული ნაწარმოების ხარისხს, მის მნიშვნელობას.

– კრიტიკოსობა უძნელესი

დან სისხლის გამოშვებას – ვერც ვერავის მოსთხოვ, ვერც ვერავის დააძალებ და ვერც ვერავის აიძულებ... მით უფრო, პატივისცემის ღირსია ის, ვინც ამ გზას საკუთარი ნებით დაადგება...

– დღეს მწერლის, პოეტის სახელის დარქმევა გაიფადა. როგორც ამბობენ, მწერალთა კავშირს 800-ამდე წევრი ჰყავს, რეალურად კი მათი რიცხვი ათასამდეაო. ამ უზარმაზარმა მაკულატურამ ნამდვილი მწერლობა გადაფარა, მოგუდა...

– როგორც მახსოვს, საბჭოთა ხანაში მხატვართა და კომპოზიტორთა კავშირების წევრთა რაოდენობა დიდად აღემატებოდა მწერალთა კავშირის წევრების რიცხვს. ახლა, ამ მხრივ, რა მდგომარეობა არ ვიცი.

ვერავის დაუშლი უხარისხო წიგნის დაწერას და გამოცემას, თუკი ეს ჩვენს ხარჯზე არ ხდება. მით უფრო, რომ ლიტერატურის ისტორიამ მრავალი მაგალითი იცის იმისა, რომ თანამედროვეთაგან (მათ შორის პროფესიონალ ლიტერატორთაგან!) უინტერესოდ მიჩნეული ნაწარმოები, კარგა ხნის შემდეგ შედეგად უღირებით!

ძველი უხარისხო ტექსტები დავიწყებთ ეძლევა, ამიტომ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ადრე სულ კარგი რამეები იქმნებოდა!

– კიდევ ერთი ტენდენცია დამკვიდრდა: მწერალი, ხელოვანი თუ კულტურის მუშაკი თავს არიდებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას. რამდენად სწორია ასეთი დამოკიდებულება?

– დიდი ავსტრიელი მწერლის არტურ შნიცლერის ეს გამონათქვამი მიყვარს ძალიან: „ყოველგვარი კულტურის საბოლოო მიზანი ის არის, რომ, რასაც ჩვენ პოლიტიკას ვეძახით, კაცობრიობისთვის ზედმეტი გახადოს, ხოლო მეცნიერება და ხელოვნება – აუცილებელი“. ეს არ არის პირდაპირი პასუხი თქვენს შეკითხვაზე, მაგრამ, ვფიქრობ, ამ ციტატით ნათლად გამოვხატე ჩემი აზრი პოლიტიკასთან მეცნიერებისა და ხელოვნების მიმართებისა და პოლიტიკურ პოპულაციებში მეცნიერთა და ხელოვნათა მონაწილეობის თაობაზე.

თამარ შველიძე  
555 23 28 24



ტიურ მონაწილეობას ვგულისხმობ) ჟურნალისტებზე უკეთ ვერასოდეს გააკეთებენ. ჟურნალისტიკა მწერლობის მონათესავე სფეროა, პოლიტიკური მწერლობაა. ადრე ჩვენში პოეტები ითავსებდნენ ჟურნალისტობასაც, რაც პოეზიასაც აზარალებდა და ჟურნალისტიკასაც. ამას თავად ილია და აკაკიც აღიარებდნენ. წმინდა ჟურნალისტიკას ცოტა მსახური ჰყავდა – მე-19 საუკუნიდან ნიკო ნიკოლაძე და სერგეი მესხი უნდა გავიხსენოთ. სამაგალითო იყო მათი ერთგულება ჟურნალისტიკისადმი. ასე კი არ ფიქრობდნენ – სტატიებისა და კორესპონდენციების წერით ხელს გავინაფავთ და მერე ლექსებსა და მოთხრობებზე გადავალთ! არა, მათთვის ჟურნალისტიკა მოღვაწეობის ღირსეული სფერო იყო, უყვარდათ ეს საქმე და იგი არც არაფერზე გაუცვლიათ.

ახლა გეტყვით: რას ვამჩნევ დღევანდელ ქართულ ჟურნალისტიკას. ჩვენი დღევანდელი ჟურნალისტების უდიდესი ნა-

უცნობი ან ნაკლებად ნაცნობი ავტორები სხვადასხვა გზებით ახერხებენ თავიანთი წიგნების უცხო ენებზე გამოცემას, გადიან საერთაშორისო ასპარეზზე და იქედან ცდილობენ საკუთარ სამშობლოში თავის დამკვიდრებას. ანუ, ნამდვილ მწერლებად შემოსაღების მცდელობა აქვთ.

– წიგნის დაწერას, გამოცემას თუ თარგმნას ვერავის აუკრძალავ. ხელოვნების ყველა დარგში უნიჭოები ყოველთვის ჭარბობდნენ ნიჭიერებს, და არამარტო ჭარბობდნენ, უფრო პოპულარულებიც იყვნენ, ზოგნი იმის გამო, რომ კიჩს ქმნიდნენ, რასაც ყოველთვის დიდი გასავალი აქვს სახელოვნებო ბაზარზე, ზოგიც ჩანყოზა-მაქინაციებით თუ ინტრიგებით იმკვიდრებდა თავს, მაგრამ ვის ახსოვს დღეს ისინი! ჩემს ბავშვობაში მასობრივი პოპულარობით სარგებლობდა პოეტი გიგო ხეჩუაშვილი (თბილისში მისი სახელობის ქუჩაც კი არის). ამ მგოსანს ხალხი ისეთი ოვაციებით ხვდებოდა, რომ ამის გამო

პროფესიაა, დიდად სახათაბალო საქმეა და ნურავის გაუკვირდება, თუკი ის ხალხი, ვისაც ჩინებულად შეუძლია მხატვრული ნაწარმოები შეაფასოს, ამისგან თავს იკავებს. ლიტერატურის დიდზე დიდი სიყვარულია საჭირო საიმისოდ, რომ კრიტიკოსობისთვის გაიმეტო კაცმა თავი! ასე იყო და ასეც იქნება. ნამდვილი კრიტიკოსები ლიტერატურის ისტორიამ ცოტა იცის. მათ ბიოგრაფიებს თუ გავეცნობთ, ვნახავთ, რომ არც ერთ მათგანს დალხინებული ცხოვრება არ ჰქონია – არც ლესინგს, არც ბელინსკის, არც ილია ჭავჭავაძეს...

კრიტიკული აზრის გამოთქმა დიდ სულიერ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული. მე-17 საუკუნის ესპანელი ბრძენკაცი ბალტასარ გრასიანი წერს: სიმართლის თქმა გულისხმობს სისხლის გამოშვებასა ჰგავსო (თუმცა, რაღა შორს მივდივართ, ქართული ანდაზაც ამბობს: სიმართლის მთქმელს შეკაზმული ცხენი მზად უნდა ჰყავდესო!). ამას კი – „გული-

გზაზე პატრიარქი



„სხვა დროს“ სტუმარია მწერალი გურამ პეტრიანოვი

ბატონო გურამ, შორს არ წავიდეთ და მოდით, შევადართო საბჭოთა პერიოდის მწერლობა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომდროინდელი მწერლობა. განსხვავებას ხედავთ და რამ განაპირობა ეს განსხვავება?

საბჭოთა პერიოდში იყო უმაღლესი დონის მწერლობა. პირადად მე ვიცნობდი იმ პერიოდის რამდენიმე ძალიან დიდ მწერალს. ტკბილი სალაში გვქონდა მე და რეზო ინანიშვილს, რომლის სახელიც, ჯერჯერობით, კიდევ არაა სათანადოდ დაფასებული და მომავალში დიდ აღიარებას ელოდება.

იყო ნოდარ დუმბაძე, ოთარ ჩხეიძე, რეზო ჭყიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ დოჩანაშვილის პოლიტიკური შეხედულებები არ მომწონდა, მაგრამ, ვალიარებ, შესანიშნავი მწერალია. ასევე, გურამ გეგეშიძე და მისი „ხმა მლალადებლისა“, ოთარ და თამაზ ჭილაძეები, გივი გეგეჭკორი, შოთა ნიშინიანიძე.

ახლა ლაპარაკობენ: მაშინ საბჭოთა სისტემისთვის აუცილებლად უნდა გემღერა და ნაწარმოებები მათ სახოტოდ უნ-



და შეგექმნაო. მაგალითად, მე არ მიმღერია საბჭოთა კავშირისთვის, არც თქვენს რედაქტორს უწერია ლექსები სოციალიზმზე, არც ბესიკ ხარანაულს, არც ლია სტურუას, არც მშვენიერ პოეტს იზა ორჯონიკიძეს, არც რენე კალანდიას და არც გურამ ოდიშარიას, მაგრამ კარგ პოეტებად და მწერლებად კი ითვლებიან.

ლევან ბერძენიშვილი ვილაც გრაფომანებს აცხადებს დიდ შემოქმედებად.

კაცი არ ვიყო, ჩემში არ არის შური.

ვილაცა თუ დავინახე, რომ კარგია და კარგად წერს, მეც მინდა, რომ უკეთესად დაწერო.

# „რისხვად მოგჩუნდა ბოჩბადი, ჩვენზედა, ცისა შვიდისა“

ვინმე დეისადეს, ბურჭულაძეს და სხვებს, თავიანთ დედაზე რომ ალიგზნებინ, რაიმე წესიერი რომ დაენერათ, ვინ მამაძალი იტყოდა ცუდიყო.

მიზეზი რა არის, ბატონო გურამ, ამით დონეზე რატომ დაჰყავთ მხატვრობით, სულიერებითა და ესთეტიკით გაუღწეველი ჩვენი მწერლობა?

იმიტომ ჩემო ბატონო, რომ დღეს მწერლობის გამგებელი არის მეფახე, სახელად მამუკა ხაზარაძე. ის მიზანდასახულად აქებს ამ ზნედაცემულ ვითომ მწერლებს, რადგან კარგად იცის, ვისი გუნდიდანაც არის. ამ გუნდის მეთაური გახლავთ ასევე ზნედაცემული მიხეილ სააკაშვილი.

საქმე ისაა, რომ, როგორც ჩანს, ასე იყო ჩაფიქრებული. ე.წ. დამოუკიდებელ საქართველოში უნდა მომკვდარიყო დიდებული ქართული მწერლობა ისე, რომ ჩვენ მისი დატირებაც ვერ მოგვეჩერებინა, უვარგისი შთამომავლობის გამო.

პირველი, რაც სააკაშვილმა



გააკეთა თქვა, ესენი ჩასარეცხები არიანო, მაგრამ ეს ამბავი სააკაშვილიდან არ დანწყებულა.

მთავრობაში, რომლის წევრიც მე ვიყავი, გახლდათ, ასევე, ან გარდაცვლილი თემურ ქორიძე, რომელმაც თქვა: ნამდვილი მწერლები მთაწმინდაზე განისვენებენო. ცუდი მისამართი იყო ეს შემდგომი პერიოდის მწერლობისთვისაც. მეტიც, როგორც მე ვიცი, თემურ ქორიძის იდეა გახლდათ, საქართველოში ერთი კი არა, რამდენიმე უნივერსიტეტი გახსნილიყო.


ივანე ჯავახიშვილმა ერთი უნივერსიტეტი ძლივს შეაკონინა, რადგან არ გვყავდნენ პროფესორ-მასწავლებლები.

1993 წელს ზუგდიდში შევხვედი ზუგდიდის უნივერსიტეტის რექტორს, გვარი არ მახსოვს. ვკითხე: როგორ ახერხებთ უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლების მოზილიზაციას-მეთქი? როგორ და, ის ხალხი თბილისის უნივერსიტეტში რომ ასწავლიანო, შაბათ-კვირას

ჩვენთან ატარებენ ლექციებსო. მე იქავე ვუთხარი, თქვენ უნივერსიტეტი კი არა, არაფერი არა ხართ-მეთქი.

რაც გააკეთა შევარდნაძემ, სააკაშვილმა, რასაც ახმოვანებდნენ ჩვენი ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი მაშინ, ეს იყო გარედან წამოსული ინსტრუქცია. მწერალი აღარ უნდა ყოფილიყო ავტორიტეტი, არამედ მას უნდა ჩანაცვლებოდა, ვინმე პოლიტიკოსი, რომ მწერლის სიტყვას და მის როლს საზოგადოებაში ავტორიტეტი დაჰკარგოდა.

თუ არ ვცდები, ელიზბარ ჯაველიძემ თქვა: ველაპარაკებოდი ერთ გერმანელ პროფესორსო და იმან მითხრაო: თქვენ პრე-



ტენზია გაქვთ დიდი წარსულის ერობაზე და იმას როგორ ვერა ხვდებითო, რომ თქვენ განვითარებადი ქვეყანა ხართ. არა გჭირდებათ დიდი კულტურა და დიდი მწერლობაო. თქვენ უნდა გაზარდოთ მოსამსახურე პერსონალიო, ტურისტების მომსახურე ახალგაზრდები და ბარგის გადაზიდვები მუშები და ოფიციალტებიო.

სხვათა შორის, ჩვენ რომ „განვითარებადი“ ქვეყანა ვიყავით, ამის შესახებ ევროპა-ამერიკას პირველად ედვარდ შევარდნაძემ ამცნო.

ქვეყანა, რომელსაც ჰქონდა მეცნიერებათა აკადემია, უზარმაზარი საუნივერსიტეტო ქსელი, უმრავლესი სამეცნიერო ინტელიგენცია, ჰქონდა მეტალოურგიული ქარხანა, საავიაციო ქარხანა, საავტომობილო ქარხანა და ა.შ ამ ნიშნით ჩვენ ვიყავით განვითარებული ქვეყანა და როდესაც შევარდნაძემ მიმართა საკუთარი ჯიბის ამოსავსებად მის მიერვე გაპარტახებული ქვეყნისთვის თანხები გადმოერიცხათ, უთხრეს: თქვენ მეცნიერებათა აკადემია გქონიათ, უნივერსიტეტები, მძიმე და მსუბუქი მრეწველობა და ა.შ. და ა.შ. ჩვენ განვითარებად ქვეყნებს ვეხმარებით, თქვენ ვერ დაგეხმარებითო. ადგა შევარდნაძე და ყველაფერი მოსპო. დაანგრე-

ვინა საკუთარი ხელით ხალხს და მერე განუცხადა ევროპელებს: განვითარებადი ქვეყანა ვართ, არაფერი არა გვაქვსო და წამოვიდა ფული, გრანტები და დახმარებები. ამ ნგრევაში მოჰყვა მწერლობა, თეატრი, კინო, ოპერა, ბალეტი...არადა, მსოფლიოში ცნობილი იტალიუ-



რი და ფრანგული კინოსკოლის გვერდით ქართული კინო მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა...

ახლა, მგონი, 1 000 000 ლარს აძლევენ კინოცენტრს, რომ კინო განვითარდეს და ამ 1 000 000 ლარიდან 80% იხარჯება, ვილაც გოგოშკების და ბიჭუშკების ევროპის ქვეყნებში ფესტივალებზე დასასწრებად.

ელდარ შენგელაია გულზე არ მესაბუტება, მაგრამ როგორ არ ვთქვა, რომ „მერეკილები“ არის ძალიან კარგი ფილმი?! არც მერაბ კოკოჩაშვილის მოტრფიალე გახლავარ, მაგრამ „დიდი მწვანე ველი“ საუკეთესო ნაწარმოებია. ნანა მჭედლიძე, თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე დიდი რეჟისორები არიან.

სად გაქრა ყოველივე ეს? უკვე გითხარით, გააქრეს. ეს საქართველოში არ უნდა ყოფილიყო.

ჰოდა, ის დიდი პოეტებიც, რომლებიც არსებობდნენ, უნდა ჩამოქვეითებულიყვნენ პაატა შამუგიაძემ. ამასაც სპეციალურად ლაპარაკობს გათახსირებული ლევან ბერძენიშვილი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე არა ჰგონია კარგი პოეტი, მაგრამ პაატა შამუგია კი მოსწონს.

ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე სწორედ ეგენი იყვნენ გაგზავნილი, საკუთარი დედის შეურაცხმყოფლები, „საბას“ პრემიის ლაურეატები, მაგრამ, ირანდა, მე არ ვიცი და იქნება შენ იცოდე, ჩემო კარგო, რომელი საბას პრემიას ანიჭებენ ამ ხალხს. ეს ჯილდო სულხან-საბას პრემიის სახელის არ უნდა იყოს.

ეს ხაზარაძეს უნდა ვკითხოთ.

ხაზარაძეს მეორე სახელად საბა ხომ არა ჰქვია? ხუმრობა იქით იყოს და თუ



საზოგადოება არ ჩამოყალიბდა, არ მიეცა ჯანსაღი სულიერი და იდეური მიმართულებები, საზოგადოებას არ მიეცა ფორმა და შინაარსი, რაც უნდა სახელმწიფო არსებობდეს, მის ყოფნას აზრი არ ექნება და არც ივარგებს. ბრწყინვალე სახლში სულიერება და ადამიანობა გამოცლილი არსებები რომ ცხოვრობდნენ, იმ სახლს ან სასახლეს მომავალი ექნება? – ცხადია, არა.

საზოგადოება, ერი გამოცდილი ადამიანების მსჯელობებით, კამათით ახალგაზრდებთან, აზროვნების გზებით ყალიბდება და არა მუდმივი არაფრისმთქმელი და არაფრისმომცემი კამათით და ჩხუბით ტელეეთერებში ან მთავრობის სახლის წინ. ასე განვითარება არ მოხდება. დაქცევა, კი, ბატონო.



ახლა მახსენდება, რა თქვა ერთხელ მერაბ კოსტავამ: მესინია, ისეთი დრო არ დაგვიდგეს, ქართველებს სიბნელეში, ხელის ცეცებით, ერთმანეთის ძიება რომ მოგვინოსო. დამდგარია უკვე ეს დრო.

დღეს საქართველოს პარლამენტში, „ნაცების“ და „ევრონაცების“ სახით, სხედან შევარდნაძის ნაშეიერები, მისი ლეკვები.

ბატონი ბიძინა იმ პერიოდში საქართველოში არ იმყოფებოდა და არ იცის ამათი ნაავკაცარის შესახებ. მოატყუეს ივანიშვილი და დღემდე ატყუებენ. მეტიც, გიორგი შენგელაია საყვედურობს ბატონ ბიძინას: ეტყობა, გემოვნება არა გაქვს, თორემ



ჩემს ძმას, ელდარს, 5000 კი არ მისცემდი, იმას მისცემდი 3000, რასაც მე მაძლევთ და 5000 კი-დევე მეო. აი, ასეთი სულგაყიდული ხალხის ხელში არის ბატონი ბიძინა.

იმას კი არა კითხულობს გიორგი შენგელაია: ნეტა, რა დამსახურებისათვის მეძლევა ეს ფულიო, ჩემზე მეტად დამსახურებული სხვა ვინმე მშიერი ხომ არ არისო. არა, ამას არა ფიქრობს, არადა, სინამდვილეში ის არის დამნაშავე, ვინც ეს სია



მიანოდა ბიძინა ივანიშვილს. ესენი არ არიან ქართული ინტელიგენცია. ესენი მოლაღატები არიან.

მე დღეს სიამოვნებით მიხდა აღვნიშნო, რომ დაარსდა გაზეთი „სხვა დრო“ და ამავე სახელწოდების ჟურნალი, რითაც მწერლებს საშუალება მიეცემათ, თავიანთი ნაშრომები გამოაქვეყნონ ამ პერიოდულ გამოცემებში, აქ დაბეჭდილ მწერლებს და პოეტებს ჰონორარიც უნდა მიეცეთ აუცილებლად!

– ბატონო გურამ, დამეთანხმებით, ჩვენი ენის სიმდიდრე ნელ-ნელა იკარგება. ქართული ენა სამომხმარებლო ენად იქცა ჩვენს პატარა ქვეყანაში.

– ქართული ენა განსაკუთრებით დაკნინდა თბილისში. რეგიონებში უფრო არის შემორჩენილი წმინდა ქართული სიტყვები. მაგალითად, ყველაფერზე, რაც კარგია, ამბობენ: მაგარიო. დაკარგა აქტუალურობა სიტყვებმა: მშვენიერია, მომხიბვლელია, მიმზიდველია, დამატყვევებელია, თვალწარმტაცია, მომავადობელია და ა.შ. და ა.შ.

ახლა ვნერ დიდ წერილს იმ კატასტროფაზე, რომელიც მიმდინარეობს უცხოური ფილმების

ქართულად გახმოვანების თვალსაზრისით.

ქართულ ფილმებს ახმოვანებინებენ ვიღაც მთანმინდელ და ვერელ ბიჭებს და გოგოებს, რომლებიც ქალაქური ჟარგონით ახმოვანებენ ფილმებს. არ შეიძლება ასე.

მე ვიყავი ის კაცი, ვინც პირველად გამოვიდა ინიციატივით, მსოფლიო კინოშედეგები ქართულად გაგახმოვანოთ-მეთქი. რა გითხრათ, არასახარბიელო მდგომარეობაში ვართ, როგორც რუსთაველი ამბობს: „რისხვით მობრუნდა ბორბალი, ჩვენზედა, ცისა შვიდისა“.

ირანდა კალანდაძე  
593 56 11 18



მკინაბ კოსტაჰა

1939-1989

ლექსები

ლოცვა

შემადლებინე, მაღალო ღმერთო, მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო, მოძმე მკერდიდან არ მომივკვეთო, ტრფიალი მისი არ განმიქარვო.

გთხოვ, მარტვილობა მიქციო ბრძმედად, გარდასახდენი არ განმარიდო, ღირსად მყო ძისა შენისა ჭვრეტად, ჩემის ცხოვრების სამაგალოთოდ.

რამეთუ მნადის დიდო გამჩენო, მოსახდენს ზურგი არ შევაქციო, სურვილი შენი, განზრახვა შენი, მიზნები შენი ჩემად ვაქციო.

მამულო ჩემო ..

მამულო ჩემო, კვლავ დადგა ჟამი მაღალ ზრახვათა არ დაოკების, დროა დაიმსხვრეს სატანის სკამი, დროა მტარვალთა დანიოკების! დაე, აღენთონ შენთვის გულები და ჩირაღდნებად დადგნენ ღამეში, და გამხნევებდეს გრძნობა უღლევი შენირულ სისხლის სიელვარეში.


სულში ჩაგაღვანეთოს

თმა ნათავთუხარი შუადლის ხანძარი, ზვრთების მორევი ჩაგიტანს უცილოდ, სახე თეთრყირმიზი და ბაგე მარჯანი, თვალეები ცისფერი, ცისფერი უძირო.

გონგადალეული როდესაც გიყურებ, მხიბლავს ბოტიჩელის შუქ-ჩრდილთა ამოდ ქმნა, რომელმა ვარსკვლავმა აგინთო შუქურა, ან რა დიდოსტატის ყალამმა ჩამოგქნა.

ნამს გაოცებისას ნეტა თუ ენება მზერას გამოსტაცოს ფარული გულის ხმა. შენს ხატზე ვილოცებ, თუ კი ეგ მშვენება არის აჟღერება შენეულ სულისა.

მაგ დათლილ ნაკვებთან სიმრუშის აღრევა რა საკადრისია, რა მოსატანია,



ყველგან ან არსად

მზე გადაიხარა... მოშულართა იქნება შერიგება, შურისგების არც ერთი მისხალი სისხლის არიდება! ჩადგება ქარიშხალი დარჩება... მხოლოდ გარინდება. ყოველი საწყისი სასრულს ჩაბარდება შეწყდება სიკვდილი, შეწყდება, დაბადება, ცდომილთა დუნე სიარული, ყოველივე, სიბრძნეც კი განქარდება დარჩება... მხოლოდ სიყვარული. აღარც აქა და აღარც იქა, არც საიქიოს, არც სააქაოს... და რომ განმართლდეს ძველი იგავი ან ნურსად იქნები, ან ყველგან იყავი.

წმინდა ჰარმონიის ვაგლახ დარღვევა გონების მახვილ თვალს ვერ აუტანია.

უსიერ წყვილადის სიტურფით მპობელო, ძნელია მაგვარი გათიშვის ატანა, იყავ უმაღლესი ზნეობის მპყრობელი მშვენების მისხალსაც ნუ მისცემ სატანას.

მრუდე განვირიდე ფიქრების ნაკადი, მაგ ქართველ ქალობის ხელყოფას ვშიშობდი, შენს მაღალ მშვენებას, დედოფლის საკადრისს, სულის სისპეტაკე შეშვენის ღვთისმშობლის.

და შენმა სახელმა იცისკროს, იბრძოლოს, სანუთრო მოხატოს ვარსკვლავთა კამარით, სულში ჩაგეღვენთოს ღვთაებრივ სიმბოლოდ დედა მარიამი, ქეთევან, თამარი.

ველარ ვიოკებ შეშლილ სუნთქვის...

ველარ ვიოკებ შეშლილ სუნთქვის დანყვევლილ ალებს, მივდივარ შენგან, ბალდახინით შევიბურები, საბუდრებიდან ამოვითხრი ყაჩაღის თვალებს, შენ შემოგწირავ, რათა დასძლენ შენი ყურებით. ქარონის ნავით გადავირბენ პირველ ქაოსებს, ეთერის ჭავლებს ავაკენესებ ცეცხლის ხოფებით, საიქიოშიც მე ვიგლოვებ სააქაოზე, რადგან ძვირფასო, აქ მიწაზე შენ იმყოფები. და კვლავ დასთქვან პაემანი ერინიებმა, ჩემი ცოდვები მათთვის დარჩეს ან გასამხელი, ნავალ, წამყვება საშინელი მონანიება და გულში შანთით ამომწვარი შენი სახელი. ვერ დაგვაშორებს აქერონის შლეგი ტალღები, სულ იფხიზლებს თუნდ რომ გვამი ეგდოს მძინარე, სულეთის მგზავნი, ანგელოსებს ჩვილი ბაღლები დავაშრობთ ლეტოს, დავინყების წყეულ მდინარეს.



მაღალი რანგის მწერალთა პერსონაჟები მალაზუნობრივი არიან – ისინი ასხივონებენ, ასწორებენ და აწონასწორებენ ერის საარსებო სივრცეს და ხორციელი ვნების „ლიბიდოს“!

შეიძლება ითქვას: მეორე ათასწლეულის საქართველო რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმა“ გადაარჩინა! ეს იყო მორალის წიგნი, ზნეობის, ღირსების, სიყვარულის, ერთგულების, ძმობის და სამშობლოს დაცვის, ანუ ფაქტობრივ მტრის წინააღმდეგ საკრალური ომის მისტერია!..

ვაჟა-ფშაველას ყველა პერსონაჟი ზნეობრივი გმირია, არც ერთი მათგანი არ გადის ზნეობრივი რკალიდან...

ასევე ილიას, ყაზბეგის ყველა პერსონაჟი ამკვიდრებს ზნეობრივ მაგალიტებს.

ისინი არ უშვებენ ვულგარულ-სკაბრეზულ სიტყვათა და ფორმათა ინტერვენციას (ძალადობას) საზოგადოებაზე, არ ამყოფებენ საკუთარ ერსა და ქვეყანას ზნეობრივი გაურკვევლობის და სიცრუის ქაოსში...

სად არის მალაზუნობრივი ნაწარმოების გასასვლელი: სტილისა და მანერის ორიგინალი დრამის სიმძაფრეში თუ მოვლენის ვულგარიზაციაში? რა შეიძლება ეწოდოს იმას, რასაც დღევანდელი ლიტერატურის პარაზიტები ქმნიან? „უნიტაზური მწერლობის“ ახალი ნაკადი საკუთარ თავს თავადვე რომ მიარქვეს... რას მატებენ, რას აძლევენ ისინი სამშობლოს – როგორ შევლიან საკუთარ ხალხს და ქვეყანას? რა არის, ზოგადად, მათი არსებობის აზრი და მწერლური მისია? არაფერი!.. ეს სიტყვა კარგად მიესადაგება ამ მართლაც „არაფრებს“ და ყველაფერი ის, რაც საზიანოა საკუთარი ერისთვის და მისი მორალისთვის!

XIX საუკუნის დაცემული საქართველო ილიამ, ვაჟამ, გოგებაშვილმა, აკაკი წერეთელმა, ალექსანდრე ყაზბეგმა და მათმა თანამებრძოლებმა ააყენეს ფეხზე და გადაარჩინეს. ეს მართლაც ასეა!



როცა ქართულ მწერლობაზე ვსაუბრობთ, უნდა გავიხსენოთ ერთი მეტად საყურადღებო ისტორიული ფაქტი:

1937 წელს საკავშირო კულტურის ფორუმზე მოსკოვში (სადაც მთელი მსოფლიო იყო მიწვეული) საქართველოს ხელისუფლებამ იქ წარადგინა პროლეტარული მწერლები და ზედ საგანგებოდ გამზადებული მოხსენებაც მიაყოლეს.

რა თქმა უნდა, სტალინი გაეცნო ამას და უთხრა, რომ ეს არ არის სიმართლე, ქართული კულტურისა და მწერლობის ისტორია XX საუკუნიდან არ იწყება. მან იკითხა: სად არის „შუშანიკის ნამება“, გურამიშვილი, ილია, ვაჟა და სხვანი?!

სტალინის ამ დამოკიდებულებამ მთლიანად შეცვალა ქართული დელეგაციის ამოცანა. იმავე ღამეს ტიციანშვილმა ახალი მოხსენება მოამზადა. ფაქტობრივად, აქ მოხდა სოციალ-დემოკრატების მიერ დისკრედიტებული ილია ჭავჭავაძის რეაბილიტაცია!..

ამ ფორუმმა მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია: კრემლის საზეიმო დარბაზში შოთა რუსთაველის სურათი ბრწყინავდა და ქართული ისტორიული კულტურა ზეიმობდა – სტალინმა მსოფლიოს დაანახა ქართველი ერის ტალანტი.

ახლა რა ხდება? ვის აგზავნიან მსოფლიო კულტურის ფორუმებზე და ბიენალებზე, იგივე სტრასბურგის ქართული კულტურის დღეებზე ჩვენი ხელისუფალნი? ეტყობა, ისევე ჩვენი დროის „ლიბერასტები“ მიემართებიან ევროპულ ცივილიზაციებთან შესახვედრად, რომ

საკუთარი „უნიტაზების“ „პოეზია და მუსიკა“ გააჟღერონ!..

ხელისუფლების და კერძოდ, კულტურის სამინისტროს საყურადღებოდ ვიტყვი, მაინც და მაინც სტალინი უნდა იყო, რომ ისეთი რამ ჰქმნა, რაც მან მოიმოქმედა იმ დროს?!

განა შეუძლებელია, რომ იგივე დილემის გადაჭრა ახლა რომელიმე სახელმწიფო მოღვაწემ რომ გაბედოს?!

შეაჩეროს „ფეკალური ნაკადების“ „გადინება“ და დაფინანსება.

სამწუხაროდ, ხელისუფლებაში აღარ არის ის ადამიანი ვინც ამას შეძლებდა... მაგრამ იგი უეჭველად უნდა დაბრუნდეს და „აჭრილი“ მორალური სივრცის გამოსწორება დაიწყოს...

— ენა, მამული, სარწმუნოება! – ბრძანა ილია მართალმა.

– ღმერთი, სამშობლო, ადამიანი! – იქადაგა ილია II-მ.

ამ ლიბერასტებმა — „უნიტაზებმა“ კი მთლიანად ამოგდეს ეს მცნებები თავისი „ზნეობრივი“ კოდექსიდან და „საიდუმლო სირობა“ დაგვიჩერეს!

ჩვენ კიდევ ბევრ რამეს შეგვკადრებენ ესენი, ვიდრე ასე „თვინიერი“ ვიქნებით.

საზოგადოება შეაჩვიეს „ძალადობას“ და „შიშხალს“... და „დედის უნიტაზზე“ ჯდომას...

„მწერლებმა“ და მათ მიმგვანებულმა ჰიბრიდებმა და კლონებმა, ფაქტობრივად, მონამლეს და აამყაყეს ქვეყანა!... ააცდინეს ახალი თაობა გზას და მისიას... ყოველ დილას და საღამო ყველგან: მასმედიის და ინტერნეტის ეკრანებზე ჩამოკიდებულმა ამ „პანდორას ყუთებმა“ „შავი ჭირის ვირუსი“ გაუჩინეს საზოგადოებას.

ხელისუფლებას კიდევ ერთხელ ვეუბნებით: მიეცით კეისარს კეისრისა!

თორემ დადგება დრო, ჩამოივლის უფალი ურმით და ქვეყანას მოჰკითხავს სიბრძნეს,

ქალი ახანი



„სხვა დრო“

ახლა რაღა ვუყვით, რით ვუშველოთ ამ არეულსა და დამზრალ დროს? ქარმა გამოგვტაცა აკენის არტახები, შვილი როგორ უნდა გავზარდოთ?! ბორგავენ საიტთა აშლილი ვნებები, უბინო სიზმართა არევით.

თვალებს უშავდებათ ცის ფერი გუგები, ავობენ თვალეები, მთვრალეები... იქით ტელესივრცე – დემონი მძვინვარებს. სივრცე შეიშალა! სივრცე ავად არის! მოვარდნილ ქარიშხლებს ებრძვის გამეხებით სიბრძნე ქურუმთა და სიმხნე ავატარის.

„სხვა დრო“ ჩამოემხო თავზე ჩვენს ველ-მინდვრებს, ჭიშკართან სხვა ეშმა ხარხარებს, სხვა მესაფლავენი თხრიან ჩვენს საფლავეებს, რომ კიდევ უფრო ღრმა გათხარონ.

ვინა დაუშინფდა, ვინა გაუმრავლდა სახსრებ-მყესებსა და საზარდულს. გოჯს როგორღა ვაქცევთ ახლა ადლად, შვილი როგორ უნდა გავზარდოთ?! ვის ხელში გადავა ეს ძველი ქვეყანა, ღვთის ჩანაფიქრი და ღვთის წილი... – შვილი რად მიუგდე ეშმას აღსაზრდელად! –

დღე და ღამ ყურებში მინივის. – რა გითხრა ღვთის ძემ და შენ როგორ გაიგე, შერყვნილ-დამცრობილი ენით! მიტომ აღარ გშველის აღარც პირჯვრის წერა, აღარც სახარება შენი!

მუშტებს ვურახუნებ ტაძართა სიმაღლეს, ჩემი უძღურებით ვცოფდები. ვისმენ გუმბათიდან

წესრიგ

გამოჭრილ ციტატებს: – შეგენდოს, შეგენდოს ცოდვები! დათმენა ისწავლე, მარჯვენას თუ სცემენ, ლოყა მიუშვირე მარცხენა. – შენს იგავს ვერ ჩავენვდი, ჩემმა გაგებამ კი მარჯვენა-მარცხენიან მარცხენა. სიზმრებში ერლვევა გუმბათი ტაძრებს და ქვეები მაცვივიან თავზე. ჩამესმის, იგავთა საკეტნი გოდებენ: – დუმილი ლოდივით გვანევს!.. – ვხვდები, სხვა რამ მითხარ „მარჯვენა-მარცხენით“, სულ სხვა რამეს ნიშნავს „ლოყაც“, „სხვა დროის“ სიავე და გაბოროტება ასეთ ვერგაგებებს მოჰყვა.

მოდო, მაცხოვარო, ერთხელაც მოდი და საკეტნი ახსენი იგავთ. ისევ შენ ამიხსენ სიბრძნენი იგავთა, შენი ბაგიდან რომ ითქვა.

მითხარ, როგორ მოხვდა ერთად ამ სხეულში, ღმერთის და ეშმაკის ნება. იმ „ვაშლის“ სიბილნე ჩემი ბნელი ღამის, რომელ მონამლულ ხეს ება?

რატომ დავაბრალეთ ჩვენი კუნაპეტი, რქიანი ეშმაკის სიბილნეს? მასწავლე უკუნი ღამის გათენება სანამდე სამსჯავრო მიმიწვევს.

ჩამესმის: – ეს არ ჰქნა! იქით არ წახვიდე, თუ გსურს დამარცხდესო ეშმა! – მაგრამ საამისოდ სად ვპოვო ეს ძალა, ვაი, რომ არვისგან მესმა!

ვიცი, რომ ჩემშია, ეგ ძალაც ჩემშია, სასონარკვეთაც და შვებაც, მაგრამ როგორ მივწვდე, ყველაზე საჭირო სათქმელი უთქმელი რჩება.

სანთლები ხატის წინ თავისთვის იწვიან, ღმერთი ვერ ავანთე ჩემში! პატრუქი მზად არის, მნათე იგვიანებს, ჟამმა კი წაკლეკა თქეპით!

დრო გადაირია, მითხარ, რით ვუშველო, შეშლილ-გადარეულ ამ „სხვა“ დროს?! გვედრი, გამიხსენი იგავთა საბრძნენი, შვილი როგორ უნდა გავზარდო!

თორემ ახალნაშენ ტაძართა სიმრავლე იხუვლებს, წამიდან წამზე. იგავთა გოდებით იშლება კედლები: – დუმილი ლოდივით გვანევს!





პიპი ბაბაქოვი

1933-2003

ლექსები

ზაზი ზორჯია

1933-2010



ფატი

სევდა, რომელიც უხასიათო და ჭირვეული ბავშვივით ღნავის, არ დამშვიდდება, გინდ მოვეფერო, გინდ რბილ ბალიშზე დავუდო თავი; გინდა აკვანი გადავურნიო, შემოვუჭირო გინდ არტახები, ეგ შენი მკერდი თუ არ ჩასჩარე, არ მოასვენებს შენი სახელი. სევდა ბავშვივით დიდხანს იღნავლებს, თუკი წყურვილი ვერ მოვიკალი, შენი მკერდიდან თუ არ გადმოხტა გაცელქებული თეთრი თიკანი... დადინჯებულხარ და აღარა ხარ ის ქალიშვილი, მე რომ უხეშად მეპასუხება და კაბის ბოლოს თავაღერილი თხა რომ უღეჭავს. ახლა შენს სხეულს, ნაგვიანემა ქალიშვილობამ რომ ჩამოხუნძლა ასე ცთუნებით, არ შემოძლია ისე შევხედო, როგორც მოხუცმა. ეგ მკერდი ასე როდის გაივსო და ასე როდის გამოცალკევდა, შიგნიდან როდის განათდა შენი თვალები — ჩემი სასონარკვეთა. ეგ შენი ტანი ისე გრილია და მათრობელი, როგორც მარანი, შენი სხეულის მდინარის ფშანში ჩამალულია ბნელი დარანი. შენს დანახვაზე მე მახსენდება აყვავებული ჭალარა ფშატი, რომელიც თითქოს უკანასკნელად ამჟღავნებს თავის ვნებას და წადილს; ან სხვებთან ერთად იცინის ველზე, ან მარტოდმარტო ხარობს ობოლი, ნაგვიანევი მთის გაზაფხულით როცა ივნისში მხვდება გომბორი...

შენი სამფლობელო

შენი სამფლობელოა, შენი ანასეული, ვით სასახლის მესერს და დედოფლის სამყოფელს,

ისე ვუახლოვდები... სმენას უაღერსებს სიტყვა - შუამავალი და ანძაზე ფრიალი საკუთარი დროშის. წიგნი შენი სახლია, შენი ტაჯ-მაჰალია და სასახლე დოჟის. იგი აღმართულია რიტმისა და მუსიკის ვინრო ხეობაში, მიაბიჯებ ამაყად და თვე მოგდევს თორმეტი ვით თორმეტი პაჭი. ჰგვანან შენი ლექსები მთიდან დიდთოვლობაში ძირს ჩამოსულ ირმებს, ჩვენთან მაშინ მოდიან, როცა გრძელი ზამთარი საქმეს გაუჭირვებთ. დგახარ მზეში უაზრო ხმაურს არიდებულს, ხელს შეუშლის ტაში მარგალიტად რომ იქცეს ის, რაც მოხვედრილია სულის ნიჭარაში. დრო მიდის და ვიცვლებით და მზე მდინარეების ვინრო კორსეტს ამტვრევს, ჩვენდა გასამხნეველად ცვლიან გაზაფხულები დალონებულ ზამთრებს. მაგრამ ალბათ ბოლომდე საამაყოდ მექნება, სანამ ვცოცხლობ, მანამ რომ მე შენი ერთგული ქვეშევრდომი ვიყავი, დედოფალი ანა!..

ლტოლვა

შენ ვერ გაგთქვამენ შენი თვალები, შინაგან ბრძოლას სიმშვიდით ნიღბავ, მხოლოდ მე ვიცი, რაც იმალება მოჩვენებითი სიმშვიდის მიღმა!.. შენ გეშინია საკუთარ გრძობის, შენი მუხლების, მხრების, ფეხების, ჯერ არ განცდილი თვლემის დათრობის, თრთოლვის, სურვილის, ხელის შეხების... გსურს მომიშორო შენი ხელებით და გეშინია, რომ შორს შესტოპე, გულს ვერ იჩერებ აფართხალებულს, თრთოლვა გიბერავს ფერმკრთალ ნესტოებს... სახეს მარიდებ, იხრები გვერდზე და თითქოს სადღაც გადაინიე, შენში სურვილი გონებას ებრძვის და მიწიერი - არამიწიერს. რასაც გუმანით გრძობდი ადრევე მკერდით, სიცილით, მთებით, კორდებით, ახლა შენს სულში იბინადრებენ სხვა სიმღერებით, სხვა აკორდებით. და იღებ, როგორც შიშის საზღაურს, თავდავინყებას, ალერსს და თრთოლვას, თავშეკავების ქრება საზღვარი და რჩება მხოლოდ უსაზღვრო ლტოლვა!..

ამ საიდუმლოს, ლექსო ..

ამ საიდუმლოს, ლექსო, ვერასდროს მიგიხვდები: რა შმაგად ინერები, რა მშვიდად იკითხები?!

ჩემთან მზესავით ნათბ და სხვასთან იბინდები! ამ საიდუმლოს, ლექსო, ვერასდროს მიგიხვდები!

არის ამ ჩემს ორგანიზმში ..

არის ამ ჩემს ორგანიზმში ყველგან (არა ზოგან) ნისლი: ყელში - მიბჯენილი სული, სულში - სევდა მარადისი, გულში - ჩარჭობილი დანა, ტვინში - ჩაქცეული სისხლი, თვალში - ჩაგებული ცრემლი და უწყვეტი დენა მისი, პირში - ბურთი ჩატენილი, მტრობით, სიძულვილით, ზიზლით!.. ვიხრჩობი და ვიღუპები, რა ვიღონო, აღარ ვიცი!..

აყვავიბულა ალუბლები

სუსხი გარდაცვალების შემოიჭრა ნუხელის, დაეხუჭა თვალები, დაეკრიფა გულხელ, სიხარული დაემხო და გამეფდა ნუხილი, კარ-ფანჯრები დაილო, ატყდა ჭექა-ქუხილი, ციდან აცრემლებული ჩამოვიდნენ ღრუბლები, სულ მთლად დასველებული ყვაოდნენ ალუბლები!..

ახლა

ახლა და მხოლოდ ახლა, მინდა დავკოცნო ბალახი, მოხუცი დედა ვნახო, სხვა ნატვრა არ მსურს არაფრის.

მინდა, შიშველი ფეხებით ჩვენ დიდ ეზოში სირბილი... მინდა გავარდეს მეხი და მინამ შეიგრძნოს სირბილე.

მინდა, სოფელმა დამლალოს, მერე სოფელშიც დავტოვო... დედას მოშორდეს ჭალარა, ფიფქად იქცეს და დამთოვოს!



ბატონო საქართველო!

უკვდავების ავტორო! ცრემლით, სისხლით ნატბორო! შოთას წიგნის პატრონო, საქართველოვ, ბატონო!

გამარჯვებავ დაგთოვოს! გაგათბოს! გაგათენოს!.. საქართველოვ, ბატონო! ბატონო საქართველოვ!

ბევრჯერ მოსმენილო ჰანგო

ბევრჯერ მოსმენილო ჰანგო, - ცრემლის დადენამდე კარგო, - მე შენ მაინც არ დაგკარგავ, ყველაფერი რომ დაგკარგო!

სიცოცხლეში შენ მიშველი და ჩემს არყოფნაშიც შეხვალ!.. შემშრობელი ჩემი ცრემლის ისევ შენ და ისევ შენ ხარ!

გადაგიხადოთ რით ..

გადაგიხადოთ რით - სიკეთე - თბილო დღეო, და მაგალობელი ჩიტით გახარებულს ხეო?

გული თქვენს ნახვას ითხოვს - ადრე გამხმარო ხეო, გადაკარგულო ჩიტო, დაღამებულო დღეო!..

მაშულო, სიყვარულო!..

მარტო შენ შემომსუბუქებ საფლავში ჩასვლის სიმძიმეს!.. იქაც გილოცებ, გიფიქრებ, გისიზმრებ, - ისე ვიძინებ!

სიკვდილშიც შენით გავივლი ჩემი სამარის ვინრო გზებს!.. შენ მოკვდები და - მოკვდები!.. შენ იცოცხლებ და - ვიცოცხლებ!..

წიგნაკრები

1955-2000

წიგნაკრები

ბაიბი ბიბიბიბი

1951-1996



უსაფხურო კიბა

ბევრი ვჩრიკე და ვჩხიბე, ცას ვერ ვუპოვე ბოლო, თვალსაწიერის იქეთ არაფერი ჩანს, ოლოლ... ვერც უაზრობას ვხედავ, ვერც სამიზნეებს წესის, ნუთუ დაგვტოვა დედამ მარად უცნობი სქესის? ყველა დილემას ერთობ ხსნიდეს მარტივად იგი, ბრძამ ვით იკითხოს, ღმერთო, შენი სინათლის წიგნი... ბევრი ვჩხრიკე და ვჩხიბე, ცისას რომ სწვდება ბოლოს, უსაფხურო კიბე გულში ყოფილა მხოლოდ.

ცა

იმედი დიდი ფესვია გულის - ქალას ხდის ფიქრით ცარგვალს,

ლილიანს... უსასოოდ კი, ჟამთასვლის ურმით, ჯერ არშემდგარი დღეც ჩავლილია. ისევ ინთება და ისევ ქრება, რომ დღეთა კრებამ ღამის იერით შობის ტკივილებს მოჰგვაროს შვება, დასაბამს შეხვდეს დასალიერი. ასე ჩასახლდა სიზმარი ალში, ქალში სიცოცხლე რომ შეაპარა... წამია, მაგრამ წამის ამ რკალში მარადისობამ შეჰკრა კამარა.

\*\*\*

სივრცის მსუბუქი კაბის ღილი - შუქი მთვარისა შევხსენი ღამეს. თქვეს, გიჟია, ცასთან დადისო... და უეჭველი მოლოდინით საჩუქარისა - ცა ჩემში ვპოვე სამარადისოდ.

\*\*\*

...ღამეს მშიერი მისდევს ავაზა, აქაც თოვლია ჩემი სავალი, ტყემ შეცდომების გასწორება შემომთავაზა, გზას დაეძებენ გზები მრავალი... მეტს იგი სცოდავს, არ შია რომელს, მოვედი... ეს მზე სულ არ მეცნობა, მიაცილებენ მნათობები გზაშეშლილ სოფელს და არ იციან, რაა სწორი, რაა შეცდომა. ...ღამეს მშიერი მისდევს ავაზა, ბოლო არ უჩანს ქმნილების კენესას, მე კი, ნუხილშიც ჩემი ღამაზი იმედისმომცემ მწყალობელს ვესავ.

\*\*\*

გვალვა არ არის მოსავლისთვის ისე საშიში, როგორც სულისთვის ცრემლგამშრალი კაცის ჟინია, საკუთარ თავზე წარმოდგენის ბოლავს ჰაშიში და მთვრალს მოყვასის შენუხების არ ეშინია. არ ეშინია, რომ სინდისის დიდი თვალებით ზურგს უკან ფიქრის ყველა ჩრდილი დანახულია, ივსება მისი მახსოვრობა სხვისი ვალებით და ეკარგება გულს სიკეთის ნიჭი სრულიად. ჩვენ კი ამ ნიჭში, ვით სარკეში, ციდან გვხედავენ, ციდან, რომლისაც მხედველობა უჩინარია... ბავშვებს, უმამოდ დარჩენილებს, გაგვიბედავენ ნაგვართვან შენი შუქის სითბო, მზეო-მარიამ.

\*\*\*

სად ვიმყოფებით, ალუბლებო, სად ვიმყოფებით? საით მიარწევს ცრემლით სავსე ღრუბლებს ზღვაური? ვინ სწყვეტს სიმღერას ბაღში ჟამის დანაყოფებით? სამყაროებში ვინ ატეხა აურზაური?

ფიქრს ვარსკვლავებთან რა უნდოდა ფრთების გარეშე? ვინ შეაღწია, სიზმრები ვინ გამიფერადა? რაისთვის გახსნა მზის საფანქრე, ვინც მოთარეშე ღამეებისთვის მნათობმოყრილ კაბას კერავდა?..

ცნობისნადილზე მონყალებას რომ არ აპირებ, არც ღირსვარ, მაგრამ ყვავილების და ბედურების უღრან თვალეში იმგვარად გცნობ, ვით მონადირე ნადირს სცნობს თოვლზე ცარიელი ნაფხურებით.

მთოლი

რით ვერ გაიგეთ, რომ ჩემი ღარიბული ტანსაცმლით, მოუწყობელი ბინით და ცუდი ხასიათით თავს ვიცავ თქვენგან.

მზე რომ მზეა

მზე რომ მზეა, წლიდან წლამდე იმეორებს ერთდაიგივეს. მე კი დავცქერი ჩემს წინ მხოხავ მწერს და ვფიქრობ - ნუთუ გზა რომელსაც ის გადის, თავისუფალი და ერთადერთია?

გიგრძნიათ?

გიგრძნიათ როგორ იძინებს ღამე? როგორ წვება ის თავის თავში როგორ იფარებს სადარბაზოთა ნათურების დანინკლულ საბანს და თავს როგორ ჩამოსდებს ხოლმე, ღამპიონებით აქათქათებულ ქუჩის ბალიშზე?

მთოლი

რით ვერ გაიგეთ, რომ ჩემი ღარიბული ტანსაცმლით, მოუწყობელი ბინით



და ცუდი ხასიათით თავს ვიცავ თქვენგან. მზე რომ მზეა, მზე რომ მზეა, წლიდან წლამდე იმეორებს ერთდაიგივეს. მე კი დავცქერი ჩემს წინ მხოხავ მწერს და ვფიქრობ - ნუთუ გზა რომელსაც ის გადის, თავისუფალი და ერთადერთია?

ის პორცეპი

მისი უმანკო ძუძუებია ხვალ მათ უთუოდ მოასწორებენ. ხვალ ამ ღამიდან აფრინდება კიდეც ერთი პეპელა დღისა.

ნატურმორტი

შენ ფიქრებმა გაგიტაცეს და ჭიქა ჩაი მაგიდაზე დაგიჩა მარტო. უყურებ ჭიქას - დედის მიერ ნაჩუქარი საჭიქით რომ იმშვენებს სხეულს.

მუქ სითხიდან ამოჩრილ კოვზს მიეყინა შენი ფიქრები და თითების ანაბეჭდები. ორი საფერფლეც - ერთი ძვლისა, მეორეზე დაჭყლეტილი სიგარეტები...

ხასიათში კვლავ ცოცხლობს ბავშვი... არადა, როგორ გჭირდება ახლა, რომ იყო კაცი - დინჯი, უთქმელი და გამიზნული.

ხელისგულები ექვან ...

ხელისგულები ეძებენ ქალაქს, შენს სუსტ ცრემლებზე რომ დაეტევა; ქალაქს,

რომელსაც შეიფარებს პეპელას ფრთები და ფუტკრის მიერ ატაცებული ყვავილის მტვერი; ქალაქს,

რომელშიც ყველა ცხოვრობს, ვინც ჩვენამდე დაბადებულა; ქალაქს,

რომელშიც სიკვდილისთვის არ გვიმეტებენ.







## ხანის „ღამაზი და მარილიანი“ ასული - ნიკოლოზ ბარათაშვილის უკანასკნელი მუზა

ის ცხოვრებაში, კარიერაში და სიყვარულში უიღბლო გენიოსი იყო. სამხედრო სამსახურში კოჭლობის გამო დაინუნა და საუნივერსიტეტო განათლება უსახსრობის გამო მიუწვდომელი აღმოჩნდა. ასე დარჩა კანცელარიის მოსაბეზრებელი და დამღვინი ცხოვრების შემყურე ქართული ფილოსოფიური ლირიკის ფუძემდებელი, დიდი მოაზროვნე და პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ქართულ ლიტერატურას 27 წლის ასაკში გარდაცვლილი პოეტის მხოლოდ 27 ნაწარმოები შემორჩა და მისი ფოტოც არ არსებობს, თუმცა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მიმართ ინტერესი დღემდე არ განელეზულა.

ამბობენ, რომ მისი პირველი სიყვარული ნინო ორბელიანი იყო, უკანასკნელი კი ხანის ლამაზი ასული გონჩა ბეიში. პოეტის მუზათა შორისა ქეთევან ერისთავი და საქართველოში მცხოვრები ფრანგი დელფინა ლაბიელიც ყოფილა, თუმცა ულამაზესმა ეკატერინე ჭავჭავაძემ ტატოს ცხოვრებაზე წარუშლელი კვალი დატოვა.

ეპიზოდები“ ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების სწორედ ამ პერიოდს მიმოიხილავს.

„ოთხი თვე – 1844 წლის ნოემბრის ბოლოდან 1845 წლის მარტის დასასრულამდე – ნიკოლოზ ბარათაშვილმა უცხოეთში, ნახჭევანის მაზრაში, გაატარა. ეს იყო სამშობლოდან პირველი მოშორება, განპირობებული ოჯახის რჩენის მიზნით. ბარათაშვილი, ერთი შეხედვით, მხიარული, ცოტა ცინიკურიც და დროსტარებისმოყვარე, ოჯახისთვისაც ისეთივე თავდადებულია, როგორც სიყვარულისთვის. არაპოეტური სერიოზულობით ეძებს სახელმწიფო სამსახურს, თანახმაა თითქმის ყველაფერზე, რადგან სახლში უიმედობით ლოგინად ჩავარდნილი, დამბლად ცემული მამა ჰყავს, დარდით შეპყრობილი, არცთუ ისე მოხუცებული, სულ 50 წლისა და სილატაკეში მყოფი ოჯახის წევრები, უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი. ამ დროს ნახჭევანის მაზრის მმართველად ლევან მელიქიშვილი ინიშნება. ნაცნობ-მეგობრები ბარათაშვილის ოჯახს შუამდგომლობენ და ნიკოლოზსაც მაზრის მმართვე-

შემონახულა, გარდა ორი ლექსისა – ერთია 1845 წლის 10 იანვრით დათარიღებული „მადლი შენს გამჩენს“ და მეორე „დამქროლა ქარმან სასტიკმან“, რომელიც პოეტმა მაიკო ორბელიანს 1845 წლის 9 თებერვალს გაუგზავნა. აღსანიშნავია, რომ ორივე ლექსში იდუმალი სატრფო ფიგურირებს.

„მადლი შენს გამჩენს. ლამაზო, ქალო შავთვალეზიანო, / დღისით მზევ, ღამე მთოვარევე, წყნარო და ამოდ ხმანო! / შენის ლოდინით ვსულდგმულვარ, თავყანსვსცემ შენსა სახელსა; / დედის ერთა ვარ, ნუ მამკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა! / ღარიბი ვინმე მოვსულვარ, სოფლისა მუშა საწყალი, / ამხანაგად მყავს ნაბადი, ძმობილად – ბასრი ხანჯალი, / მე სხვა სიმდიდრე რად მინდა? მე შენი გულიც მეყოფის, / მის ფასი კიდევ საუნჯე ცას ქვეშეთ განა იმყოფის?“

ვინ არის შავთვალა ქალი, რომელსაც უცხოებაში გადახვეწილმა პოეტმა ეს სტრიქონები უძღვნა, რამდენად ძლიერია პოეტის გრძობა მისდამი და განსხვავდება თუ არა მხატვრული თვალსაზრისით ეს ლექსები



თი ამბავი რომ იცოდეთ, ერთი კარგი რომანია, – ამ ლექსში თავის თავს სტირის. ერთს ადგილას ამბობს: ჩემო მშვენიერო ბახჩაო, მინდა მოვიდე, ვიმუსაიბო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო. ამ ლექსს დავანერინებ და თავის თარგმანით გამოგიგზავნი.“

გონჩა ბეგუმი ძალიან ადრე გათხოვილა და შემდეგ უკვე ცდილობდა ქმარს გაშორებოდა, რაც იმდროინდელ კავკასიაში ადვილი საქმე არ იყო. მათი გაყრის საკითხი მაზრის უფროსს უნდა გადაენწყვიტა. ამ თანამ-

დნენ. ამის გავლენა იყო ლიტერატურული სალონებიც, რომელსაც ნახჭევანში მეჯლისები ერქვა.

მაიკო ორბელიანისთვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ პოეტი ძალიან განიცდის უსიყვარულოდ გათხოვილი გონანას ბედს, მისმა ლექსებმა კი იმდენად დააინტერესა, რომ მათ თარგმნას მიჰყო ხელი.

მაიკო დაინტერესებულია ამ ამბით და გონჩა-ბეგუმი თავისი ძმობილის სატრფოდ თუ არა, გატაცებულ მანც მიუჩნევია. ამის უარყოფას ცდილობს ბარათაშვილი, როდესაც წერს: „საყვარელო დაო, მაიკო! დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გამოიციან ჩვენი მოქმედება. მე კიდევ შევარვიც ცოლ-ქმარი“.

1844 წლის 10 იანვრიდან, ანუ „მადლი შენს გამჩენს“ დაწერის თარიღად მიჩნეული დროიდან, ამავე წლის 9 თებერვლამდე – მაიკო ორბელიანის წერილზე მითითებულ თარიღამდე – ერთი თვეც არ არის გასული და მკვეთრად იცვლება პოეტის განწყობა. აღარ ჩანს სილაღე, რომელსაც ლამაზი ქალის ხილვა იწვევს და სახეზეა სატრფოს დაკარგვით გამოწვეული უიმედობა.

ბარათაშვილმა ნახიჭევანში ორი ლექსი შექმნა და ეს ორივე ლექსი სატრფილო ხასიათისაა. ისინი განსხვავდებიან სხვა ლექსებისგან, რომელთა ადრესატი ეკატერინე ჭავჭავაძეა. განსხვავდებიან თავიანთი წყობით, რითმულობით და თუნდაც იმით, რომ აქ არ არის ცისფერთვალეზი ასულისადმი ტრფობა. ვფიქრობთ, შესაძლებელია, რომ ეს ორი ლექსი გონჩა ბეიმისადმი არის მიძღვნილი – ფიქრობს თამარ შარაბიძე.

1893 წელს ტატოს გადმოსვენებამ განჯიდან თბილისში (დიდუბის პანთეონი) ეროვნული მანიფესტაციის სახე მიიღო. 1938 წლიდან პოეტის ნეშთი მთაწმინდის პანთეონში განისვენებს. არავინ იცის, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ, რა ბედი ეწია გონჩა-ბეგუმის ლექსებს და თავად „ხანის მარილიანი ასული“.

ნალი თორღია  
571 35 36 88



მაიკო ორბელიანი

ნინო ორბელიანი

გონჩა ბეიში

როგორც ცნობილია, ნიკოლოზ ბარათაშვილი 1844 წელს ნახიჭევანის მაზრის უფროსის თანამშემნედ დაინიშნა. ერთი წლის შემდეგ ის იმავე თანამდებობაზე განჯაში გადაიყვანეს, სადაც მალარიით დაავადდა და გარდაიცვალა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მეორე, დაუდასტურებელი ვერსიაც არსებობს, რომლის თანახმად, უცხო და მივარდნილ მხარეში გადასახლებული პოეტს ნახიჭევანის ბეგის მუხლელესთან ჰქონდა რომანი და შეურაცხყოფილმა ბეგმა პოეტი მოანამფიინა. ამ ვერსიას ქართველი მკვლევარები ვერც ადასტურებენ და ვერც უარყოფენ, თუმცა ის, რომ პოეტი განჯაში ახალგაზრდა ქალით იყო გატაცებული, დადასტურებული ფაქტია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ შარაბიძე წიგნში „რომანული

ლის მოადგილედ ნიშნავენ. პოეტმა მიყვრებულ პროვინციაში აუტანელ პირობებსა და გაუსაძლის გარემოში იმსახურა ოთხი თვე და მხოლოდ მაშინ, როცა ლევან მელიქიშვილი ნახჭევანიდან წამოვიდა, გაირკვა, რომ ბარათაშვილი ამ თანამდებობაზე არც დაუნიშნავთ და იგი უკან გამოიწვიეს თბილისში“. მეგობარ მაიკო ორბელიანისთვის გაგზავნილი წერილში ბარათაშვილი წერს:

„სამი თვეა აქა ვარ და ძალად არავინ მახსენა“. ეჰ! მაგის დარდსაც გაუძლებ! აღარც მე მცალიან ვისთვისმე. ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადოებას შევსძღვენი, სულ ხომ ყმანვილობა არ იქნება, დრო არის რიგიანის სამსახურისა, თქვენც გეყოფათ ბუზების ხოცვა...“

როგორც ირკვევა, ბარათაშვილის მიერ ნახიჭევანსა და განჯაში დაწერილი ლექსები არ

ადრეული სატრფილო ნიმუშებისგან?

ნახიჭევანიდან მაიკო ორბელიანისთვის გამოგზავნილი წერილში იკვეთება 18 წლის „ღამაზი და მარილიანი“ ხანის ასულის სახე. თამარ შარაბიძის ვარაუდით, 1845 წლით დათარიღებული ლექსების მუზა სწორედ ეს გოგონა უნდა ყოფილიყო.

„ნახიჭევანიდან მაიკო ორბელიანთან გამოგზავნილი წერილებში გამოკრთის ერთი იქაური ქალის სახე. პოეტი მის შესახებ წერს: „ახლა ნახიჭევანში ერთი ახალი ლექსია, თვრამეტის წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-ბეგუმ ჰქვია. ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია. ბევრში წარმოგიდგინებ ორლოვის ცოლს. საცოდავი დამწვარი თავის ქმრისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს, რომ გაუშოს. საწყალი თორმეტის წლისა ყოფილა, რომ ძალად გაუთხოვებიათ. ამა-

დებობაზე მაშინ ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი ლევან მელიქიშვილი იყო დანიშნული. თვით მელიქიშვილი ამის შესახებ წერს:

„ტატო დღე და ღამე იხვენება, თუ ღმერთი გნამს, გააშვებინე ქმარიო, მე როგორც დამჯდარი კაცი, არა ვშვრები“.

მაზრის უფროსის ეს მინანერი გონჩა-ბეგუმს ეხება. ჩანს, ნიკოლოზ ბარათაშვილის დაინტერესება ამ ქალბატონით საკმაოდ სერიოზულია და, თუნდაც წარწერა სახუმარო ყოფილიყო, პოეტის დამოკიდებულება სცილდება ხანის „ღამაზი და მარილიანი“ ასულის პოეზიით გამოწვეულ სიბოლს.

ტატომ გონჩა ბეიმი ნახიჭევანში, ხანის სასახლეში გაიციანო, სადაც მეჯლისები იმართებოდა. მაშინდელი ხანის მემკვიდრეები უკვე რუსეთის გენერლები იყვნენ და სამშობლოშიც, გარკვეულწილად, რუსულ ყაიდაზე ცხოვრობ-

# ეჩნეს ჰემინგუეი და მარლენ დიტრიხი - აკასინქრონიზებული ვნება

იმ საზღვრების განსაზღვრა, რომლის იქითაც სრულდება ქალისა და მამაკაცის მეგობრობა და რაღაც უფრო მეტი იწყება, ძალიან ძნელია. განსაკუთრებით მაშინ, თუ ლაპარაკია შემოქმედებით ადამიანებზე.

ერნესტ ჰემინგუეი მარლენ დიტრიხთან თავის ურთიერთობას „არასინქრონიზებულ ვნებას“ უწოდებდა – მას გრძობები ქალის მიმართ მაშინ უწოდებოდა, როცა მარლენი თავისუფალი არ იყო და ასე ხდებოდა პირიქითაც... მათი რომანი დაახლოებით 30 წელს გრძელდებოდა. შესაძლოა, ამდენ ხანს იმიტომ გაგრძელდა მათი ეს ურთიერთობა, რომ რომანი ეპისტოლარული იყო (როგორც ახლა ამბობენ – ვირტუალური), მაგრამ მათ წერილებში იმდენი ვნება იყო, რომ ძნელია, ამ ურთიერთობას მეგობრობა უწოდო.

ერთმანეთი ამერიკულ ლაინერ „ილ დე ფრანსის“ გემბან-

ზე გაიცნეს. მარლენ დიტრიხი იგონებდა: „მე ის პირველივე დანახვისთანავე შემიყვარდა. ჩემი სიყვარული ამალღებულ იყო, მიუხედავად იმისა, ვინ რას იტყვის. ამას ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ ჩემსა და ერნესტ ჰემინგუეის შორის სუფთა, უსაზღვრო სიყვარული იყო, ისეთი, როგორიც, ალბათ, ამ სამყაროში აღარ არსებობს. ჩვენი სიყვარული დიდხანს, დიდხანს გრძელდებოდა იმედისა და ვნების გარეშე. ალბათ, ჩვენ გვაკავშირებდა სრული უიმედობა, რასაც ორივე განვიცდიდით. მე პატივს ვცემდი მის ცოლს, მერის, ერთადერთს მის ქალთაგან, ვისაც ვიცნობდი. მე, ისევე, როგორც მერი, ვეჭვიანობდი მასზე და იმ ქალებზეც, ვინც ოდესმე ჰყოლია, მაგრამ მე მხოლოდ მისი მეგობარი ვიყავი და ასეთად დავრჩი მთელი ამ წლების განმავლობაში. მე ვინახავ მის წერილებს და უცხო თვალთაგან ვმაღავ. ისინი მხო-

ლოდ მე მეკუთვნის და არავის მივცემ ნებას, მათი საშუალებით გამდიდრდეს. ჯერჯერობით შემიძლია ამის გაკეთება“.

ორივე აღფრთოვანებული იყო, მაგრამ არ სჯეროდათ ერთმანეთის მიმართ სიყვარულის, რადგან ორივე იცოდა ერთმანეთის გატაცებებისა და რომანების შესახებ და არ ეწინააღმდეგებოდნენ ამას.

ჰემინგუეი წერდა: „ჩვენ ერთმანეთი 1934 წლიდან გვიყვარდა, როცა პირველად შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ არასოდეს ვწოლილვართ ერთად. უცნაურია, მაგრამ ასეა. ჩვენ არასინქრონიზებული ვნების მსხვერპლი ვართ“. მსახიობი ქალი იმეორებდა მწერლის ნათქვამს: „ჩემი სიყვარული ჰემინგუეის მიმართ ხანმოკლე გატაცება არ ყოფილა. ჩვენ, უბრალოდ, არასოდეს ვყოფილვართ ერთსა და იმავე ქალაქში დიდი ხნით. ან ის იყო ხოლმე ვინმე ქალი გატაცებული, ან მე არ ვიყავი თავისუფალი მაშინ, როცა მას არავინ ჰყავდა“.

ჰემინგუეის გრძობების შესახებ დიტრიხის მიმართ მისი წერილებიდან შეიძლება შევიტყოთ: „მე მავინყდები შენ ზოგჯერ ისევე, როგორც მავინყდება, რომ ჩემი გული ძგერს“; „მე ვერ გადმოვცემ სიტყვებით იმას, როგორი გრძობაც დამეუფლა, როცა თქვენ გეხვეოდით, მე ვგრძობდი, რომ სახლში ვიყავი“; „მარლენ, ისეთი ვნებით მიყვარხართ, რომ ეს სიყვარული ჩემთვის სამუდამო წყევლად დარჩება“.

მწერალი ამტკიცებს, რომ მას და დიტრიხს ბევრი საერთო აქვთ, მაგალითად, სულის სიძლიერე. „იცოდეთ, რომ მე ყოველ-



თვის მიყვარხარ და აღმაფრთოვანებ. ჩემში გრძობების გამას აღვიძებ. ჩვენს შორის მთავარი განსხვავება კი ის არის, რომ შენ მშვენიერი ხარ, მე კი – მახინჯი“.

მათი რომანი ჰემინგუეის გარდაცვალებამდე, 1961 წლამდე გრძელდებოდა. მწერლის სიკვდილი მარლენმა ძალიან მძიმედ გადაიტანა: „ის ჩემი „გიბრალტარის კლდე“ იყო და ეს ტიტული მას მოსწონდა. წლები გავიდა მის გარეშე და ყოველი წელი უფრო მტკივნეულია წინაზე. „დრო ქრილობებს კურნავს“, – ეს დასამშვიდებლად ნათქვამი სიტყვებია. ეს, რა თქმა უნდა, ტყუილია, თუმცა ძალიან მინდა, რომ ასე იყოს“.

მარლენ დიტრიხი ჰემინგუეიზე მისი გარდაცვალების შემდეგაც კი ეჭვიანობდა: „ის ძალიან მაკლია. სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე რომ არსებობდეს, ის ამ გრძელი ღამეებში დამეულაპარაკებოდა მაინც, მაგრამ ის დაკარგულია და ვერავითარი ნაღველი უკან ვერ დაბრუნებს. მან მითხრა, რომ არასოდეს მიმატოვებდა, მაგრამ ვინ ვიყავი მე იმ ადამიანებს შორის, ვინც მან მიატოვა – შვილები, ცოლები, ყველა, ვინც მასზე იყო დამოკიდებული; მე მისთვის მნიშვნელოვანი არ ვიყავი. მას მე არაფრად მივაჩნდი“.

მარლენ დიტრიხის შვილიშვილი პიტერ რივა ამბობდა: „ყველაზე შესანიშნავი მათ ურთიერთობაში ინტიმი იყო, რადგან ისინი არასოდეს ყოფილან საყვარლები. აქ ლაპარაკია სიყვარულზე და არა სექსზე“. ალბათ, ის მართალიც იყო...

მარლენ დიტრიხისადმი მიწერილი ერნესტ ჰემინგუეის ზოგიერთი წერილი ბოსტონის ჯონ ფ. კენედის ბიბლიოთეკაში ინახება, ზოგიერთი კი მსახიობი ქალის შვილიშვილებთან. მარლენ დიტრიხი ამბობდა, რომ ჰემინგუეის ფოტო მას საწოლის თავთან ედო.

ერნესტ ჰემინგუეის წარმოდგენილი წერილი, რომელიც 1952 წლის 12 აგვისტოს „ლა-ვიხას“ მამულიდან, კუბიდან არის გაგზავნილი, სადაც მწერალმა „ვისთვის რეკს ზარი“ და „მოხუცი და ზღვა“ შექმნა, Swann Auction Galleries-ის აუქციონზე 30 000 დოლარად შეფასდა.

მარლენ დიტრიხს უკვე აღარ ძალუძს უცხო თვალთაგან საკუთარი მიმოწერის დაცვა...

აპლა გველუხიაიანი  
568 90 81 22



FINCA VIGIA, SAN FRANCISCO DE PAULA, CUBA  
August 12 1982  
Dearest Marlene:  
Your cable came Sunday afternoon and the plane was so bad I couldn't hear it all I could make out was miserable for a long time Finally I read finally that I had not sent you a postcard and I had forgotten you. Well I then tried to find you in NY. And when the plane came through had to shout into the phone and could not hear you. I only saw and we said goodbye. Like people who did not understand each other in love each other. I felt awful but really wanted that you were unhappy. But I thought you were probably talking in front of your children and I was talking (shouting) with strangers listening.  
Please I hope you are all right.  
Please I hope you always and I forget you sometimes as I forget my heart beats but it beats always.  
Lots of times I have almost seen like my bad troubles at least they seem bad because people die, or you bitched out of money and happiness or people I love get cancer, or I want to meet!




# ბუკერის პრემიით დაჯილდოებული რვა ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი

ოქტომბრის თვეში 2019 წლის ბუკერის პრემიის ლაურეატების სახელები გახდა ცნობილი. ეს მნიშვნელოვანი პრემია გაინაწილეს კანადელმა მწერალმა მარგარეტ ეტუვდმა და ბრიტანელმა ბერნარდინ ევარისტომ.

გთავაზობთ იმ რვა მნიშვნელოვანი წიგნის ჩამონათვალს, რომლებიც ბუკერის არსებობის 50-წლიანი ისტორიის მანძილზე საუკეთესო ნაწარმოებებად იქნა მიჩნეული.

### „ინგლისელი კასინტი“, გაიკლ ონდატა

კანადელი მწერლის სულის-შემძვრელი რომანი საფუძვლიანად ითვლება საკულტო ნაწარმოებად. სიუჟეტი სრულიად განსხვავებული ოთხი ადამიანის შემთხვევითი შეხ-



ვედრის ირგვლივ ვითარდება. ესენი არიან: კეთილშობილი ქურდი, გამნალმველი, მედდა და სამხედრო მფრინავი, რომელსაც სახე და სხეული ისე აქვს დამწვარი, მისი ცნობა შეუძლებელია. ეს უკანასკნელი ისტორიის მთავარი პერსონაჟი ხდება და ჩვენ ვიგებთ გათხოვილ ქალთან მისი რომანის შესახებ. ონტადეუს რომანმა სახელი გაითქვა არა მხოლოდ ლიტერატურულ სამყაროში. ამ ნაწარმოების მიხედვით გადაღებულია ფილმი, რომელმაც „ოსკარის“ რამდენიმე პრემიაც დაიმსახურა.

### „დღის დარჩენილი ნაწილი“, კაპუო იმიბარო

ეს კიდევ ერთი რომანი გახლავთ, რომლის ეკრანიზაციაც ორიგინალურ ტექსტზე ნაკლებად როდია ცნობილი. კაპუო იმიბარომ დაწერა კამერული რომანი მსახურთუხუცესის შესახებ, რომელიც პატიოსნად ემსახურა ლორდ დარლინგტონს. სტივენსმა უარი თქვა ყოველგვარ პი-



რად სიკეთეზე, ყოველგვარი გრძობის გამოვლინებაზე გარდა არისტოკრატისადმი ერთგულებისა. და თუ ერთხელაც ცხოვრება აიძულეს მსახურთუხუცესს, გამოძვრეს საკუთარი „ნაჭუჭიდან“, ეყოფა მას ამისათვის ძალა და სიმამაცე?

### „ზღვა, ზღვა“, აირის მერლოკი

აირის მერლოკს ტყუილად როდი უწოდებენ XX ს-ის ყველაზე ბრიტანელ მწერალს. ირონიული ინტელექტუალი სრულყოფილად დაეუფლა ლიტერატურის ხელოვნებას და ფილიგრანულად აგებს საკუთარი რომანების კომპოზიციას. „ზღვა, ზღვა“ – ეს არის ისტორია თეატრის რეჟისორის შესახებ, რომელიც მოულოდნელად ყიდის მთელ თავის ქონებას და ზღვისპირა პატარა ქოხში გადადის საცხოვრებლად. იქ ის არა მხოლოდ პეიზაჟების სილამაზით ტკბება, არამედ წერს საკუთარ ავტობიოგრაფიას, იხსენებს თავისი




ცხოვრების ყველაზე ნათელ სცენებს, მათ შორის, პირველ სიყვარულსაც...

### „შუალამის შვილები“, სალმან რუსული

ბუკერის პრემიის ექსპერტთა ვერსიით, სალმან რუსულის რომანი „შუალამის შვილები“ მეოცე საუკუნის მეორე ნა-

ხევრის მთავარი ნაწარმოებია. პირველად რომანი 1981 წელს დაჯილდოვდა, 1993 წელს კი უკვე „ბუკერის ბუკერი“ მიიღო, როგორც პრემიის არსებობის ისტორიის 25 წლის მანძილზე გამოვლენილმა საუკეთესო რომანმა. კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ, 2008 წელს, „შუალამის შვილები“ ექსპერტთა საბჭომ 40 წლის მანძილზე დაწერილ საუკეთესო რომანად აღიარა. რამ ალაფრთოვანა ლიტერატორები? სალმან რუსული რომანის მთავარი გმირის, სალემ სინაის საშუალებით გვიამბობს თანამედროვე ინდოეთისა და პაკისტანის შესახებ. ამას კი იმდენად ხატოვნად



და ვირტუოზულად აკეთებს, რომ მეტაფორებისა და იგავების სიჭარბე გზას აუბნევს ნებისმიერ მკითხველს. თუმცა, ფერადოვანი თხრობა საოცარი ძალით იზიდავს მკითხველს და ნამდვილად დიდ სიამოვნებას მინიჭებს კარგი ლიტერატურის თავყვანისმცემლებს.

### „ფილარის სია“, თომას კენილი

თომას კენილის ეს ცნობილი ნაწარმოები სტივენ სპილბერგმა 1993 წელს აქცია ფილმად, რაც წიგნის წარმატების დამატებით კატალიზატორად იქცა. კენილის მიერ მოთხრობილმა ისტორიამ მსოფლიო შეძრა: ხაზგასმულად თავშეკავებული მანერით ავტორი მოგვითხრობს გერმანელი მეწარმის ოსკარ შინდლერის ცხოვრების შესახებ. საკონცენტრაციო ბანაკის უფროსმა, მარტოდმარტომ, ძალიან ბევრი ადამიანის სიკვდილისგან გადარჩენა შეძლო. თხრობის დოკუმენტური მშრალი თხრობა ამძაფრებს იმ ეფექტს, რასაც რომანში აღწერილი მეორე მეორე მსოფლიო ომის საძინელები იწვევს მკითხველში.



### „ღირსებააყრილი“, ჯონ მაქსველ კუტჯაი

კუტჯაე არა მარტო ბუკერის პრემიის მფლობელია, იგი ნობელის პრემიის ლაურეატიც გახლავთ. სამხრეთაფრიკელი მწერლის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანია „ღირსებააყრილი“, რომელიც კეიპტაუნის უნივერსიტეტის 52 წლის პროფესორს დევიდ ლურის შესახებ მოგვითხრობს. პროფესორს საზოგადოებაში პატივს სცემენ, მაგრამ ერთხელაც თავისი სტუდენტი შეუყვარდება, რომელიც, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მის გრძობებს სიყვარულითვე პასუხობს. ამ კავშირის შესახებ ცნობილი ხდება და პროფესორი ქუჩაში აღმოჩნდება. ლური ყველაფერს კარგავს და იძულებული



ხდება, თავის ქალიშვილთან გაემგზავროს, სადაც მან უნდა გაიზაროს მომხდარი და მომავალ ცხოვრებაზე დაფიქრდეს.

### „ბრმა მკვლელი“, მარბარტ ეტუვდი

მარგარეტ ეტუვდმა ლიტერატურულ სამყაროში სახელი ჯერ კიდევ მისი რომანის „მოსამსახურის ამბავი“ ეკრანიზაციამდე გაითქვა. მან უკვე 2000-იან წლებში მოიპოვა ბუკერის პრემია წიგნისთვის „ბრმა მკვლელი“. ეს გახლავთ კლასიკური „რომანი რომანში“. აირის ჩეიზი, უკვე არც ისე

ახალგაზრდა ქალი, სიკვდილის მოახლოებას გრძობს და ცდილობს, გაერკვეს ისტორიაში, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე აწუხებდა. საქმე ის გახლავთ, რომ მისი და, ლორა, ცნობილი მწერალი იყო და სიცოცხლე 25 წლის ასაკში თვითმკვლელობით დაასრულა. რატომ ჩაიდინა მან ეს? აირისი წერს საკუთარი ცხოვრების ისტორიას და აცოცხლებს წარსულს, რომელშიც ყველაფერია – სილამაზეც და შიშიც...



### „დასასრულის წინათგრძობა“, ჯულიან ბარნსი

ჯულიან ბარნსი ერთ-ერთ მთავარ შემოქმედად ითვლება დიდი ბრიტანეთის თანამედროვე მწერალთა შორის. მას შეუძლია ლაკონურ და მკაცრ ტექსტში იმდენი აზრი ჩადოს, რამდენსაც სხვები ათას გვერდში ვერ ჩატყვენ. სწორედ ამის გამო აფასებენ მას ინტელექტუალური მკითხველები. „დასასრულის წინათგრძობა“ წიგნი-მოგონებაა: უკვე ასაკში შესული ტონი იხსენებს ელიტურ სკოლაში სწავლის წლებს, სადაც ერთგული მეგობრები ჰყავდა. პირველი სიყვარული, პირველი წარმატებები და შეცდომები ახსენებს მას საკუთარ და მეგობრების ცხოვრებას. ჩვეულებრივი მოვლენებიდან ფატალურ ტრაგედიაში კი მხოლოდ ერთი ნაბიჯია...

მომავლად აპულა გველსიანა



რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე.  
 სარედაქციო კოლეგია: კობა არაბული, ლევან ბრეგვაძე, ლაშა გვასალია, ანზორ სიფრაშვილი, ბათუ დანელია, ირაკლი ვაშაყმაძე, ზურაბ თორია, ერეკლე სალღიანი, გური ოტობაია.  
 იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.  
 E-mail: asavaliprint@yahoo.com

საკონტაქტო ტელეფონები: 593 44 04 01; 595 57 99 43.